



ადმონსკლათის პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



აგრარული პოლიტიკისა და სოფლის განვითარების ქვეჯგუფის

შეხვედრის ოქმი

თარიღი: 8 ნოემბერი, 2013 წელი

დრო: 15:00 – 17:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. კახა ნადირაძე - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია (ქვეჯგუფის კოორდინატორი)
2. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია "ქალი და ბიზნესი" (მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი)
3. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
4. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
5. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
6. მანანა წულაია - ასოციაცია "ელკანა"
7. ლევან ცხაკაია - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
8. ნუგზარ სულამანიძე - კავშირი "ეკოტექი"
9. კატერინა პობერეჟუნა - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)
10. გოჩა გიკაშვილი - საკონსერვო ქარხანა "ორმორელი"
11. კახაბერ წულუკიძე - ფერმერი
12. ივანე ონიანი - ფერმერი
13. თეიმურაზ კობახიძე - ბიოფერმერი
14. ნუგზარ ილაური - საქართველოს დამოუკიდებელ ექსპერტთა ეროვნული ასოციაცია
15. მარიამ მინაძე - საინფორმაციო სააგენტო "სარკე"

16. შოთა მაჭარაშვილი - ჟურნალი "ახალი აგრარული საქართველო"
17. თინა შავაძე - ჟურნალი "კავკასიელები და აზიელები"
18. ჯოვანა აბლოთია - საქართველოს აგრარული პარტია
19. მალხაზ კოხია - საქართველოს აგრარული პარტია
20. ნოდარ ბუკია - საქართველოს აგრარული პარტია
21. დავით გაგუა - საქართველოს აგრარული პარტია

დღის წესრიგი

1. შეხვედრის გახსნა (მოდერატორი - კახა ნადირაძე)
2. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო ფორუმის შედეგების ანალიზი და სამომავლო გეგმების, პროექტების განხილვა (მომხსენებელი - კახა ნადირაძე)
3. პროექტის „სოფლის განვითარების პოლიტიკის ეფექტურობის ამაღლების ხელშეწყობა ადგილობრივი სამოქალაქო ჯგუფებისა და ცენტრალური და ადგილობრივის ხელისუფლების დიალოგის გააქტიურების მეშვეობით“ პრეზენტაცია (მომხსენებელი - მანანა წულაია)
4. ბიოფერმერის, თეიმურაზ კობახიძის, წერილის განხილვა შეღავათიან აგროკრედიტებთან დაკავშირებით (მომხსენებელი - თეიმურაზ კობახიძე)
5. კოალიციური პროექტების განხილვა (მომხსენებელი - კახა ნადირაძე)
6. შეხვედრის შეჯამება (მოდერატორი - კახა ნადირაძე)

შეხვედრა გახსნა ქვეჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრეებს წარუდგინა შეხვედრის დღის წესრიგი. მან ქვეჯგუფის წევრებს მოკლედ გააცნო კომიონიოვში (მოლდოვა) გამართული აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების რიგით მეხუთე ფორუმის შედეგები და ისაუბრა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციების ტრანსრეგიონალური თანამშრომლობის პროექტის (EaPTC) შესახებ. ფორუმზე კოორდინატორმა ყურადღება გაამახვილა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ერთიანი აგრარული პოლიტიკის შემუშავების მნიშვნელობაზე (Common Agricultural Policy (CAP)), რაც დადებითად შეფასდა ევროკომისიის შტეფან ფულეს მიერ. კოორდინატორმა აღნიშნა, რომ მომავალი წლიდან დაიწყება პროექტი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას საქართველო-აზერბაიჯანს და საქართველო-სომხეთს შორის. პროექტის პირველი რეგიონალური კონფერენცია გაიმართა სტეპანავანში (სომხეთი). კოორდინატორმა ასევე ისაუბრა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ახალი კანონის შესახებ, რომლის საფუძველზეც ადგილობრივი ფერმერები უნდა გახდნენ სტატუსის მქონე მომპოვებლები, რაც ფერმერთა აზრით ზედმეტ ბიუროკრატias წარმოადგენს და ისინი არ აპირებენ დათანხმდნენ ორდონიანი კოოპერატივების შექმნას.

ასოციაცია "ელკანა" -ს წარმომადგენელმა დამსწრეებს გააცნო დასრულებული პროექტი „სოფლის განვითარების პოლიტიკის ეფექტურობის ამაღლების ხელშეწყობა ადგილობრივი

სამოქალაქო ჯგუფებისა და ცენტრალური და ადგილობრივის ხელისუფლების დიალოგის გააქტიურების მეშვეობით”. პროექტი განხორციელდა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დაფინანსებით შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) გრანტის ფარგლებში. პროექტის პარტნიორები არიან: ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“; „ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია“; ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“; „საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი“; „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების კვლევის საერთაშორისო ცენტრი“.

პროექტი მიზნად ისახავდა სოფლად მიმდინარე რეფორმის ხელშეწყობას საქართველოს ორ რეგიონში - გურიასა და სამცხე-ჯავახეთში, ადგილობრივი სამოქალაქო ჯგუფებისა და ხელისუფლების სოფლის მეურნეობის საკითხებზე პოლიტიკური დიალოგის გააქტიურებით და განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებზე გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების მომზადებით. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: გაიმართა ინდივიდუალური შეხვედრები თვითმმართველობისა და ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან, მომზადდა რეკომენდაციები რეგიონული განვითარების სტრატეგიების დოკუმენტებზე, გაიმართა მრავალი მაგიდის შეხვედრები, ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა თემატიკაზე, შეიქმნა Google ჯგუფი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფერმერების ჩართულობით. Google ჯგუფში, „ქართული სოფელი“, გაწევრიანდა 12 ორგანიზაცია და პირი. გადაწყდა, რომ ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, აღნიშნული Google ჯგუფი გაწევრიანების გარეშე მიუერთდება პლატფორმის აგრარული პოლიტიკისა და სოფლის განვითარების ქვეჯგუფის Google ჯგუფს.

პროექტზე მუშაობის პერიოდში გამოიკვეთა სამცხე-ჯავახეთისა და გურიის რეგიონში სოფლის მეურნეობის კოოპერატივების განვითარების კუთხით არსებული პრობლემები, ორივე რეგიონის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტებზე (საბოლოო ვერსია) შემუშავდა რეკომენდაციები და გადაეგზავნა რეგიონების ადმინისტრაციებს, მომზადდა შემაჯამებელი დოკუმენტი „საქართველოს რეგიონული და სასოფლო სამეურნეო განვითარების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები 2013 წელს, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მაგალითზე“.

ამის შემდეგ დამსწრეებმა განიხილეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული შეღავათიანი აგროკრედიტების პროგრამა. შეხვედრის მონაწილე ფერმერებმა დამსწრეებს გააცნეს თვიანთი ხედვა ამ პროგრამის ხარვეზებთან დაკავშირებით და ისაუბრეს პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტულ გზებზე. ბიოფერმერის, თეიმურაზ კობახიძის თქმით, შეღავათიანი აგროკრედიტების პროგრამა მთლიანად გასაიდუმლოებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და არაერთი მცდელობის მიუხედავად, ვერ ხერხდება დეტალური ინფორმაციის მიღება ვერცერთი შესაბამის სახელმწიფო უწყებებიდან. საჯარო მხოლოდ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული სია იმ ახალი საწარმოებისა, რომელთაც ისარგებლეს შეღავათიანი აგროკრედიტების პროგრამით. აღსანიშნავია, რომ 49 საწარმოდან მხოლოდ 2 არის ახალი. ფერმერების აბსოლუტურმა უმეტესობამ საერთოდ ვერ შეძლო ამ პროგრამით სარგებლობა, რადგან ბანკები არ გასცემენ კრედიტებს. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ბანკებმა აიძულეს ფერმერები აეღოთ არა

შეღავათიანი კრედიტი 3 პროცენტისანი წლიური განაკვეთით, არამედ 32 პროცენტისანი მიკროსაფინანსო სესხი. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს პროგრამა საერთოდ არ ვრცელდება ახალგაზრდა და დამწყებ ფერმერებზე. მოთხოვნილი საგირავნო ქონება ძალიან მაღალია, რაც თითქმის გადაუღალავი ბარიერია ფერმერებისთვის.

ფერმერების აზრით, ყოველად მიუღებელია ის მოთხოვნები, რასაც კომერციული ბანკები ფერმერებს უწესებენ. ქვეყანაში იაფი ფულადი რესურსების აბსოლუტური დეფიციტია და აღსანიშნავია სომხეთის მაგალითი, რომელმაც ბიოფერმერის შეფასებით, მინიმუმ 20 წლით გაუსწრო საქართველოს. სომხეთის მთავრობამ სახელმწიფო დონეზე განსაზღვრა ფერმერებისთვის გასაცემი სესხების მაქსიმალური 4 პროცენტისანი განაკვეთი და უკვე 4 წელია სომხეთში აგროკრედიტები გაიცემა 3-4 პროცენტისანი წლიური განაკვეთით. საქართველოში კი გაურკვეველია ვინ განსაზღვრავს აგრარულ პოლიტიკას ქვეყანაში, საბანკო სექტორი თუ სახელმწიფო. აღსანიშნავია, რომ საქართველოში სასურსათო პროდუქციის 70-80 პროცენტი იმპორტირებულია. იმპორტს ახორციელებენ კონკრეტული კომპანიები, რომლებიც მონოპოლისტურ რეჟიმში მუშაობენ. მონოპოლისტებს კი ზურგს უმაგრებენ ბანკები. სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი მოქმედ საბანკო სექტორსა და მონოპოლისტ იმპორტიორებთან მიმართებაში. ბიოფერმერმა აღნიშნა, რომ საბანკო სექტორს არანაირი ვალდებულება არ აქვს სახელმწიფოს წინაშე, მიუხედავად ამისა მილიონ შვიდასი ათასი დოლარი არის დახარჯული სარეკლამო კლიპებისა დამზადებისა და ორთვიანი სატელევიზიო ჩვენებისთვის, ასევე გაურკვეველია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუდმივად დახურული კარის პრინციპი ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და კონკრეტულ ფერმერებთან მიმართებაში. პრაქტიკულად შეუძლებელია დროული ინფორმაციის მიღება არსებული საგრანტო კონკურსების, ტენდერებისა თუ სხვადასხვა პროგრამების შესახებ, რაც როგორც წესი სრული საჯაროობის პრინციპით უნდა ხორციელდებოდეს. მიუხედავად არაერთი მცდელობისა სამინისტრო კვლავ აგრძელებს მათთვის პრეფერენცირებულ მდგომარეობაში მყოფი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვას საგრანტო/სატენდერო პროგრამებსა და პროექტებში. ფერმერთა აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ანტიმონოპოლისტური კანონის ამოქმედება, რაც ხელს შეუშლის მონოპოლიების განვითარებას.

ბიოფერმერმა, თეიმურაზ კობახიძემ, აღნიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია "სამოქალაქო სოლიდარობის" ოფისში გაიმართა შეხვედრა ფერმერებთან. მოწვეული იყო 120-ზე მეტი ფერმერი, შეხვედრას ესწრებოდნენ ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს, პარლამენტის აგრარული კომიტეტისა და ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციის წარმომადგენლები. შეხვედრა საკმაოდ მწვავე დისკუსიის ფორმატში წარიმართა. ფერმერებმა მიიღეს გადაწყვეტილება აქციის გამართვით გამოხატონ თავიანთი სამოქალაქო პროტესტი და მოითხოვონ დღევანდელი სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობის საქმიანობის შესწავლა და მათ გადადგომა.

არსებულ ვითარებასა და მათთვის ხელისშემშლელ პირობებზე ისაუბრეს ფერმერებმა გოჩა გიკაშვილმა, კახაბერ წულუკიძემ, ივანე ონიანმა და აღნიშნეს რომ მათი აგრობიზნესი თითქმის განადგურების პირასაა. ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ახალი პრეზიდენტის უშუალო კოორდინაციით შეიქმნას აგრარული რეფორმის განვითარების და ხელშეწყობის

საზოგადოებრივი კომისია, რომელიც შეისწავლის სოფლის მეურნეობაში შექმნილ მდგომარეობას და ამავე დროს, შეიმუშავებს მისი განვითარების სტრატეგიულ გეგმას. ფერმერებმა აღნიშნეს, რომ ამ კომისიის ფარგლებში ფერმერთა უფლებებისა და ინტერესების დამცველად ისინი რეკომენდაციას გაუწევენ ქვეჯგუფი კოორდინატორს, ბატონ კახა ნადირაძეს.

შეხვედრაზე ისაუბრეს ასევე ახლადშექმნილი საქართველოს აგრარული პარტიის წევრებმა და აღნიშნეს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და არსებული აგრარული პოლიტიკა არანაირ დახმარებას არ უწევს ახალგაზრდა ფერმერებს. არაერთი მცდელობის მიუხედავად მათ ვერ მოახერხეს პროექტებისთვის დაფინანსების მიღება.

ფერმერების მოხსენების დასრულების შემდეგ, ქვეჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია სამოქალაქო სექტორმა ეროვნული პლატფორმის ფარგლებში შეიმუშაოს კონკრეტული სტრატეგია და დაგეგმოს ადვოკატირების ფართო კამპანია. გამოითქვა მოსაზრება, რომ საჭიროა ექსპერტების, მეცნიერების, ფერმერების, პრაქტიკოსების გაერთიანებით შეიქმნას კომისია, რომელიც შეისწავლის ქვეყანაში აგრარული პოლიტიკის კუთხით არსებულ ვითარებას, შესაძლებელია ასევე მრგვალი მაგიდის ორგანიზებაც. გადაწყდა, რომ პირველ ეტაპზე პლატფორმის სახელით მთავრობისთვის მომზადდება მიმართვის წერილი.

ორსაათნახევრიანი განხილვის შემდეგ ქვეჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია